

Luminate-ისა და IDFI-ის ახალი პროექტის მიზანი საქართველოში კარგი მმართველობის გაძლიერება

#GoodGovernanceGeorgia

პრეს - რელიზი

თბილისი. 9 თებერვალი 2019 – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) დაიწყო ფართომასშტაბიანი პროექტი - „კარგი მმართველობა საქართველოში“ (3G), რომლის მიზანია კარგი მმართველობის გაძლიერება საქართველოში. პროექტი დაფინანსებულია გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის მიერ, რომლის მიზანია ადამიანებისა და ინსტიტუციების გაძლიერება ერთიანი და სამართლიანი საზოგადოების შექმნის მიზნით.

სამწლიანი პროექტი მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსტიტუტების საზოგადოებრივი ზედამხედველობის გაძლიერებას და საქართველოს მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. პროექტის ფარგლებში IDFI დააკვირდება, რამდენად ეფექტური, გამჭვირვალე, ეთიკური და ანგარიშვალდებულია საჯარო მმართველობასა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობა, მოამზადებს საგამომიებო და ანალიტიკურ ნაშრომებს, და გაზრდის ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და აქტივისტების სადამკვირვებლო და ანალიტიკური უნარებს.

ლევან ავალიშვილი, IDFI-ის პროგრამების დირექტორი - „უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად, კარგი მმართველობის სტანდარტები და ხარისხი კვლავაც პრობლემად რჩება საქართველოში. არ არსებობს საბიუჯეტო ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების საქმიანობის სისტემური საჯარო ზედამხედველობა. ამის გამო, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოში სახელმწიფო ფინანსების განკარგვის სისტემატური მონიტორინგის გაძლიერება, განსაკუთრებით ჟურნალისტების, ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და აქტივისტების ჩართულობით. ამ გზით, ჩვენ მივადგენთ პროექტის მიზანს და გავზრდით საზოგადოების მონაწილეობას ქვეყანაში კარგი მმართველობის დამკვიდრების პროცესში.“

ოლენა ბოიცუნ, ინვესტიციების დირექტორი, Luminate-ის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - „ეს არის ჩვენი პირველი პირდაპირი ჩართულობა საქართველოში. Luminate-ის მიზანია გლობალურ დონეზე გაზარდოს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა მონაწილეობა საჯარო ფინანსების გამოყენებაში. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ეს პროექტი დაეხმარება საქართველოს ინსტიტუტებს, კანონის უზენაესობას და ქვეყნის მომავალ განვითარებას.“

პროექტ „კარგი მმართველობა საქართველოში“ სრული ბიუჯეტია 390,000 აშშ დოლარი. იგი დაიწყო 2019 წლის დეკემბერში და დასრულდება 2021 წლის დეკემბერში. თავდაპირველად, პროექტი იმუშავებს თბილისის მასშტაბით, შემდეგ კი თანდათან მოიცავს მთელ ქვეყანას მეორე და მესამე წლის განმავლობაში. პროექტის საქმიანობა მოიცავს:

- ანტიკორუფციული დღის წესრიგის წახალისება, საჯარო მონაცემებზე ხელმისაწვდომობის, ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შესახებ მონიტორინგის ანგარიშებისა და სიღრმისეული ანალიტიკური ნაშრომების მომზადებით;
- ხელისუფლების მონიტორინგისთვის ღია მონაცემებისა და არსებული ინტერნეტ და ინტერნეტმიდმა/ტრადიციული რესურსებისა და მექანიზმების გამოყენების შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადება;
- პროექტის სამიზნე ჯგუფებისთვის (ჟურნალისტები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, აქტივისტები) პრაქტიკული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა;
- მონიტორინგის განხორციელება პროექტში მონაწილე ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და აქტივისტების ჩართულობით.

IDFI-ის შესახებ:

IDFI არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია დემოკრატიული მმართველობის წახალისება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საზოგადოების ინფორმირებისა და გაძლიერების მეშვეობით. ჩვენ ვმუშაობთ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, ვიცავთ ადამიანის უფლებებს, ხელს ვუწყობთ კარგი მმართველობის დანერგვას და ვამზადებთ ინფორმაციულ ანგარიშებს, ხარისხიან კვლევებსა და რეკომენდაციებს; ჩვენ ადვოკატირებას ვუწევთ ახალ ინიციატივებს და არსებული პოლიტიკის, კანონებისა და პრაქტიკის რეფორმებს. IDFI-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ ეწვიოთ: www.idfi.ge

Luminate-ის შესახებ:

Luminate-ი არის გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადამიანებისა და ინსტიტუციების გაძლიერება, რათა მათ ერთობლივად შეძლონ სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება. ორგანიზაცია დაარსდა 2018 წელს eBay-ის დამფუძნებელ პიერ ომიდიარის მიერ. Luminate-ის მიზანია საზოგადოებაში ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა გავლენა იქონიოს იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ; ასევე, გაზარდოს მთავრობის, კორპორაციების, მედიისა და ძალაუფლების მქონე სხვა პირების ანგარიშვალდებულება. მიზნის მისაღწევად, Luminate-ი ეძებს ინოვაციურ და გამბედავ ორგანიზაციებსა და მეწარმეებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და აფინანსებს მათ; ასევე, იგი მუშაობს შემდეგი ოთხი მიმართულებით სასარგებლო ცვლილებების წახალისებლად: სამოქალაქო გაძლიერება, მონაცემები და ციფრული უფლებები, ფინანსური გამჭვირვალობა და დამოუკიდებელი მედია. დღეისათვის, Luminate-ს 314 მილიონი აშშ დოლარი აქვს გადებული 18 ქვეყნის 186 ორგანიზაციისთვის. მეტი ინფორმაციისთვის მიმართეთ: www.luminategroup.com

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge